ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01172012108**

თარიღი: **20.07.2017**

ადრესატი:
ლერი მსხვილიძე
პირადი ნომერი: 09001002090
მისამართი: თბილისი ვ.გორგასალის ქ. N 111 კორ. 3 ბ. 18

ბატონო ლერი,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/01171392669-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№გ-19/01171392669-17

"19" 07 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, მიხეილ ჭიაურელის ქუჩა №5-ში/ ქ.თბილისში, ქუჩა ლუბლიანა, №4-ში, ჩაჩავას ქუჩა №1-ში, ლუბლიანას ქუჩა №35-ში (საკ. კოდი №01.13.02.006.039) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სამედიცინო დაწესებულება (სამედიცინო და ჯანმრთელობის ობიექტები)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3310832 12.06.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი - დიდუბე, მიხეილ ჭიაურელის ქუჩა №5-ში/ ქ.თბილისში, ქუჩა ლუბლიანა, №4-ში, ჩაჩავას ქუჩა №1-ში, ლუბლიანას ქუჩა №35-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„ა-გ¹" ფასადზე: +0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია სარეკლამო აბრები. +18.25 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია წარწერა.
„გ-ა¹" ფასადზე: ბ-ა მონაკვეთში -1.30 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია წარწერა.
„1-4" ფასადზე: -3.16 ნიშნულზე 1-2 მონაკვეთში ფანჯარაზე დამატებით მოწყობილია გისოსი. ±0.00 ნიშნულზე 4-4 ღერძთან მოწყობილია გამწოვი მილები და პატარა საფეხური.
გეგმების მიხედვით: -3.16 ნიშნულზე ა¹-ა¹ ღერძზე ფანჯრებს მონაცვლებული აქვს ადგილი. დამხმარე სათავსოში დამატებით მოწყობილია ლითონის კიბე.
±0.00 ნიშნულზე ა-ა ღერძის გარეთ კიბესთან შემცირებულია კედლის სიგრძე და მიმდებარედ მოწყობილია დაბალი კედელი. არ არის მოწყობილი გასაშლელი პანდუსი შშმ- პირთათვის. 4-4 ღერძის გარეთ გაზრდილია ბაქნის სიგანე.
+23.30 ნიშნულზე შეცვლილია სართულის კონფიგურაცია და გაბარიტი. ბ-გ მონაკვეთში 3-3 ღერძზე მდებარე ვიტრაჟს მონაცვლებული აქვს ადგილი 2-2 ღერძისკენ. შენობის ა-გ და 1-4 ფასადებთან ტერიტორიაზე მოწყობილია ქვის დაბალი სვეტები. ფასადზე დამატებით მოწყობილია კონდიციონერები.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტს, ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, მიხეილ ჭიაურელის ქუჩა №5-ში/ ქ.თბილისში, ქუჩა ლუბლიანა, №4-ში, ჩაჩავას ქუჩა №1-ში, ლუბლიანას ქუჩა №35-ში (საკ. კოდი №01.13.02.006.039) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სამედიცინო დაწესებულება (სამედიცინო და ჯანმრთელობის ობიექტები)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01171392669-17 19.05.2017წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე ვლადიმერ ქუშიტაშვილი